

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება და  
მისი განხორციელება საქართველოში

ია სტეფანიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*სამართლის სკოლა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2018

### **განაცხადი**

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ია სტეფნიაშვილი

თარიღი: \_\_\_\_\_ 2018 წელი

## აბსტრაქტი

ჩემი დაინტერესება ადამიანის უფლებებით ბევრად ადრე დაიწყო ვიდრე იურისტის პროფესიას ავირჩევდი. შემდგომ კი, განათლების მიღების კვალდაკვალ, ინტერესის სფერო ადამიანის უფლებების კუთხით გაღრმავდა. რაც შეეხება უშუალოდ გარემოსდაცვით სფეროს, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

არ დამავიწყდება ჩემი ადამიანური, მოქალაქეობრივი პროტესტი, როდესაც 2008 წლის ომის პერიოდის შემდგომ დაიწვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ეს ალბათ ჩემ ცხოვრებაში პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამაც მიზიდავა უფრო მეტად დავინტერესებულიყავი აღნიშნული საკითხით. დღესდღეობით კი ჰაერის დაბუნძურების მდგომარეობა საქართველოში კატასტროფულ ნიშნულს აღწევს, ამას ემატება ქაოტური განაშენიანება და ზოგადად თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ აღნიშნული პრობლემა ეხება საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრს.

წარმოდგენილ ნაშრომში ადამიანის უფლებათა და მესამე თაობის უფლებათა მოკლე თეორიული მიმოხილვის შემდეგ საუბარი მექნება ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე, როგორც ადამიანის უფლებაზე და მის საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ რეგულირებაზე. შემდეგ, ფოკუსირებას მოვახდენ, უფლების იმპლემენტაციას სამართლებრივ დოკუმენტებსა და მისი განხორციელების პრაქტიკაზე. პრობლემატიკის ხაზგასმასთან ერთად საუბარი მექნება განხორციელების სამომავლო პერსპექტივების შესახებ. პრობლემების კვლევისას, საკმაოდ ფასდაუდებელია როგორც გარემოსდაცვითი ორგანიზაციების, ასევე სახალხო დამცველის ანგარიშები, რაც მეხმარება სწორად გავანალიზო პრობლემები და დავსახო მათი გადაჭრის სწორი გზები. შედეგად, ნაშრომის ბოლოს წარმოვადგენ საკითხთა იმ წრეს, რისი ცვლილებაც პრიორიტეტულია ამ ცვლილებების ჩემულ ვერსიასთან ერთად. ვფიქრობ, რომ ნაშრომი მოიცავს რეკომენდაციათა ფართო პაკეტს, რაც აღნიშნული უფლების განხორციელების კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ამასთან, იმედი მაქვს, როგორც იურისტს, მომეცემა საშუალება ჩემი წვლილი შევიტანო ნაშრომში მითითებული პრობლემატიკის გადაჭრაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, „ორჰუსის კონვენცია“, კონსტიტუცია.

**Abstract**

My interest towards human rights began significantly earlier than I chose my profession. Afterwards, when I started to acquire knowledge, my interest in the human rights sphere has deepened. As for environmental sphere, right to live in a healthy environment, as a citizen of my country, is very important for me.

I can never forget my human, civil protest, when after period of war in 2008 BorjomiKharagauli National Park was in fire. This was probably the first important moment, when I began to feel more interest in this field. Nowadays, air pollution level in Georgia is catastrophic, plus chaotic architectural planning and in general the topic is very popular and sensitive and I think this problems touches every member of our society.

I will start this work with short review of human rights and third generation human rights and afterwards I will examine right to live in a healthy environment as human rights and its recognition in international, regional and national regulations. Further, I will focus on implementation of this right in the legislation and practice of realization of this right. I will underline problems in this regard and I will outline the respective perspectives. In the process of examination problems, reports of environmental NGO's and Ombudsman's offices are priceless and it helps me to rightly analyze problems and to foresee the best solutions. As a result, in the last part of the work, I will present list of issues and problems that has to be amended and I will present my way of solving them. I think, my work contains wide scope of recommendations that is very important for the realization of the said right.

In addition, I hope that I will have opportunity to amend problems mentioned in the work as a lawyer.

**Key words:** human rights, environment protection, right to live in a healthy environment, Aarhus Convention, Constitution.